

შპს „დასაქმების სააგენტო ეიჩარი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

შპს „დასაქმების სააგენტო ეიჩარი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3
შპს „დასაქმების სააგენტო ეიჩარი“-ს სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4
შპს „დასაქმების სააგენტო ეიჩარი“-ს ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	5
შპს „დასაქმების სააგენტო ეიჩარი“-ს კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	6
შპს „დასაქმების სააგენტო ეიჩარი“-ს 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	7
1. ძირითადი საქმიანობა	7
2. მომზადების საფუძვლები.....	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	8
4. კრიტიკული სააღრიცხვო სეფასებები და დასკვნები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას.....	15
5. ძირითადი საშუალებები.....	16
6. არამატერიალური აქტივები.....	16
7. გაცემული სესხები.....	17
8. ფული და ფულის ექვივალენტები.....	17
9. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება.....	17
10. საგადასახადო ვალდებულებები.....	17
11. სესხები.....	17
12. შემოსავალი.....	18
13. მომსახურების თვითღირებულება.....	18
14. დასაქმებულთა ანაზღაურება.....	18
15. ადმინისტრაციული ხარჯები.....	18
16. დივიდენდი.....	19
17. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან.....	19
18. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ.....	19

შპს „დასაქმების სააგენტო ეიჩარი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის. (ლარში)

აქტივები	Note	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
მოკლე ვადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	8	18,155	14,466	14,011
ავანსები		6,703	497	405
მისაღები პროცენტი		8,435	5,964	3,987
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	1,786,615	1,124,585	977,517
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,819,907	1,145,513	995,919
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	239,501	266,927	274,831
არამატერიალური აქტივები	6	148,817	165,860	173,424
ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში		28,100	28,100	100
მისაღები სესხი	7	70,373	11,725	11,725
სულ გრძელვადიანი აქტივები		486,791	472,612	460,080
სულ აქტივები		2,306,698	1,618,125	1,455,999
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		100	100	100
გაუნაწილებელი მოგება		(457,073)	(126,950)	(94,581)
სულ კაპიტალი		(456,973)	(126,850)	(94,481)
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		133,161	105,817	82,692
გადასახდელი პროცენტი		10,432	160	-
მოკლევადიანი სესხები		2,295,966	1,439,327	1,186,581
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,439,559	1,545,304	1,269,273
გრძელვადიანი ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულება	10	324,113	161,366	140,196
გრძელვადიანი სესხები	11	-	38,305	141,011
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		324,113	199,671	281,207
სულ ვალდებულებები		2,763,671	1,744,975	1,550,480
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,306,698	1,618,125	1,455,999

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

გიორგი კიკნაძე

ლია კორსანტია

7 გვერდიდან დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „დასაქმების სააგენტო ეიჩარი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის. (ლარში)

	Note	31-12-24	31-12-23
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	12	15,794,735	11,842,849
გაყიდვების თვითღირებულება	13	(11,354,277)	(7,411,164)
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		4,440,458	4,431,685
სხვა საოპერაციო შემოსავალი		-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	14	(3,270,118)	(3,157,971)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	15	(925,323)	(971,963)
იჯარის ხარჯი		(432,794)	(439,279)
სასაქონლო მატერიალური მარაგების ჩამოწერა		(16,371)	(19,667)
საგადასახადო ხარჯები		(11,047)	(11,243)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		(71,574)	(73,338)
დებიტორული დავალიანების გაუფასურება		(55,619)	-
საპროცენტო ხარჯი		(180,687)	(163,364)
საოპერაციო საქმიანობის შედეგი		(523,075)	(405,140)
საპროცენტო შემოსავალი		6,729	2,220
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვობიდან		(7,986)	(12,600)
შვილობილი კომპანიისგან მიღებული დივიდენდები		390,000	390,840
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(134,332)	(24,680)
მოგების გადასახადის ხარჯი		(588)	(1,374)
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		(134,920)	(26,054)
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან,		-	-
გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		(134,920)	(26,054)

დირექტორი



გიორგი კიკნაძე

მთავარი ბუღალტერი

ლია კორსანტია

ლია კორსანტია

7 გვერდიდან დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „დასაქმების სააგენტო ეიჩარი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის. (ლარში)

	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლისა და მომწოდებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	17,848,072	13,699,731
კონტრაგენტებთან გადახდილი თანხები	(10,838,438)	(7,608,169)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(2,426,662)	(2,410,836)
საოპერაციო ხარჯებზე გადახდილი ფული	(122,302)	(24,506)
გადახდილი პროცენტები	(169,118)	(164,489)
გადახდილი გადასახადები (მომსახურების ფარგლებში გადახდილი საგადასახადო გადასახადებიც)	(5,270,549)	(3,993,195)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(978,997)	(501,464)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
გაცემული დაკავშირებული მხარის სესხების დაფარვა	-	17,000
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი	(50,000)	(17,000)
მიღებული დივიდენდი	390,000	390,840
ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში	-	(28,000)
მიღებული პროცენტი	-	242
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	340,000	363,082
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	(150,500)	(6,000)
მოკლევადიანი სესხის აღება	12,080,096	8,137,171
მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხის დაფარვა	(11,272,646)	(7,983,599)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	656,949	147,571
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(14,264)	(8,733)
წმინდა (კლება)/ზრდა ფულადი სახსრებისა და მათ ეკვივალენტებში	3,689	455
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	14,466	14,011
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	18,155	14,466

დირექტორი



მთავარი ბუღალტერი

გიორგი კიკნაძე

ლია კორსანტია

7 გვერდიდან დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „დასაქმების სააგენტო ეიჩარი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის. (ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	100	(94,581)	(94,481)
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი	-	(26,054)	(26,054)
სარეზერვო კაპიტალის ზრდა	-	-	-
დივიდენდი გაცემა	-	(6,315)	(6,315)
ბალანსი 31 დეკემბერი 2023	100	(126,950)	(126,850)
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი	-	(134,920)	(134,920)
დივიდენდი გაცემა	-	(195,202)	(195,202)
ბალანსი 31 დეკემბერი 2024	100	(457,072)	(456,972)

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



გიორგი კიკნაძე

ლია კორსანტია

ლია კორსანტია

7 გვერდიდან დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „დასაქმების სააგენტო ეიჩარი“-ს 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „დასაქმების სააგენტო ეიჩარი“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მდებარეობს საქართველოში და საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. კომპანია დაფუძნდა 2008 წლის 2 მაისს, რომლის სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერია 204554259. კომპანიის ძირითადი საქმიანობას ეწევა სამი მიმართულებით:

- **ვებ სერვისები** - რაც გულისხმობს კომპანიის სხვადასხვა ვებ-გვერდებზე ვაკანსიების, განცხადებების, ტენდერების, ტრენინგების განთავსებას და ადმინისტრირებას.
- **რეკრუტინგული მომსახურება** - გულისხმობს კლიენტის საკადრო საჭიროებების განსაზღვრას, მათთვის კადრის მოძიების ინდივიდუალური გეგმის შედგენას, კანდიდატების მოძიებას სხვადასხვა წყაროებიდან, გასაუბრების ჩატარებას და საბოლოო შერჩეული კანდიდატების მიწოდებას კლიენტისთვის, სამტატო ერთეულის დაკომპლექტების მიზნით.
- **პერსონალის აუტოსორსინგი** - პერსონალის მიწოდება, კერძოდ კლიენტის სასარგებლოდ შესაბამისი კადრების მოძიება, კადრების თანამშრომლებად გაფორმება და კლიენტის მიზნებისთვის და საჭიროებისთვის მათი მიწოდება, რისთვისაც სააგენტო ახდენს, მათ შორის: შრომითი და მომსახურების მართვას და ადმინისტრირებას.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი თბილისი, 0186, მიხეილ შავიშვილის ქუჩა 25, ხოლო ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, 0186, ვაჟა-ფშაველას გამზირი 71, მე-4 სართული, ოფისი 24.

კომპანიის 50-50% იანი წილის მფლობელები არიან ფიზიკური პირები: ნოდარ შურღაია (01024031151) და ლევან გუგუნავა (01024031151).

კომპანიას ჰყავს 100%-იანი შვილობილი კომპანია - შპს ეიჩარი. შპს ეიჩარის საქმიანობაა რეკრუტინგული მომსახურება და პერსონალის აუტოსორსინგი.

2. მომზადების საფუძვლები

(a) შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „მცირე და საშუალო ორგანიზაციებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის“ (IFRS for SMEs) შესაბამისად და საქართველოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის გამჟღავნების შესაბამისად, პირველადი ღირებულების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა მცირე და საშუალო ორგანიზაციებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, რომელიც მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ის ასევე მმართველობას ავალდებულებს თავისი შეფასების გამოყენებას, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლებიც

მოიცავს შეფასებისა და კომპლექსურობის მაღალ ხარისხს, ან ის სფეროები, სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისათვის.

(b) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

(c) საოპერაციო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის საოპერაციო ვალუტაა ლარი (GEL), რომელიც საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს. ის ყველაზე უკეთ ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე, წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის წარდგენის ვალუტას.

(d) საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ბოლოს მდგომარეობით მონაცემები იგივეა, რაც მომდევნო წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოყვანილი მონაცემები.

(e) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ მოამზადა ეს ფინანსური ანგარიშგება უწყვეტი საქმიანობის საფუძველზე. ამ გადაწყვეტილების მიღებისას მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, ასევე გააანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული ვითარების გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

ხელმძღვანელობამ მოახდინა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივის შეფასება და კომპანიის მაჩვენებლების გათვალისწინებით დარწმუნებულია კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

უცხოური ვალუტის რეალიზაცია. კომპანიის ფუნქციონალური და მისი საპრეზენტაციო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი („ლარი“).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ფუნქციონალურ ვალუტაში, საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის იმ დროისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („ეროვნული ბანკი“) ოფიციალური გაცვლითი კურსით. ოპერაციების დაანგარიშებითა და წლის ბოლოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად ფულადი აქტივების და ვალდებულებების თითოეული ორგანიზაციის ფუნქციონალურ ვალუტაში გადაცვლით გამოწვეული უცხოური ვალუტის ზრდა და დანაკარგი, ასახულია მოგებაში ან ზარალში ფინანსურ შემოსავლად ან ხარჯად.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსი შეადგენდა: 1 აშშ დოლარი = 2.8068 ლარი (GEL) და 1 ევრო (EUR) = 2.9306 ლარი (GEL) (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1 აშშ დოლარი = 2.6894 ლარი (GEL) და 1 ევრო = 2.9753 ლარი (GEL)).

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. შემდგომი ხარჯები მოცემულია აქტივის საანგარიშო ღირებულებაში ან აღიარებულია, როგორც ცალკეული აქტივი, სათანადო წესით, მხოლოდ მაშინ, როდესაც სავარაუდოა, რომ ნივთიდან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და ნივთის ღირებულება შეიძლება შეფასდეს უტყუარად. მცირე რემონტის და ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები ტარდება ხარჯებში განხორციელებისას. ძირითადი საშუალებების მთავარი ან შემადგენელი ნაწილების ხარჯები კაპიტალიზირდება და შეცვლილი ნაწილი მიმოქცევაში აღარ ეშვება.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიაჩნევენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ცვეთა. მიწა არ უფასურდება. აქტივებზე ცვეთა ხორციელდება შემდეგნაირად, სავარაუდო სასარგებლო მოქმედების განმავლობაში აქტივების ღირებულების განაწილებაზე მათი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თარიღიდან, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად და ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში

ავეჯი, საოფისე აღჭურვილობა და სხვა
ინვენტარი/სისტემები

3-15 წელი

აქტივების ღირებულების ნაშთი, მათი სასარგებლო გამოყენების ვადა და ამორტიზაციის მეთოდები ექვემდებარება გადახედვას და საჭიროების შემთხვევაში პერსპექტიულად დარეგულირდება, თუ ბოლო საანგარიშო პერიოდის შემდეგ აღინიშნება არსებითი სახის ცვლილებები.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის საანგარიშო ანაზღაურებად ღირებულებას. რეალიზაციიდან მიღებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულების შედარებით და აისახება „სხვა შემოსავალში“ და „სხვა საოპერაციო ხარჯებში“, შესაბამისად მთლიანი შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება. ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“ კატეგორიის მიხედვით ეფექტური

საპროცენტო გაკანვეთის გამოყენებით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების აღიარება ხდება გარიგების თარიღით აღრიცხვის მეშვეობით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვის გარიგებები ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში. კომპანიის მიერ ფლობილი ფინანსური აქტივები მოიცავს ფულის და ფულის ექვივალენტებს, სავაჭრო მოთხოვნებს.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების (ან ფინანსური აქტივების თუ ფინანსური ვალდებულებების კომპანიის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო მოკლე პერიოდის განმავლობაში. ფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით.

ფულადი სახსრები. ფულადი სახსრებში შედის ბანკების მფლობელობაში არსებული დეპოზიტები და სხვა მოკლევადიანი ლიკვიდური ინვესტიციები ორი თვით ან ნაკლები ვადით. ფულადი სახსრები სრულდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება. სავაჭრო დებიტორები გაიცემა საწყისი ეტაპის დროს, გარიგების ფასზე. შემდგომში ისინი იზომება ამორტიზებული ღირებულების შესაბამისად, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით და გაუფასურების გამოკლებით. სავაჭრო დებიტორული ღირებულების გაუფასურება დგინდება, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ კომპანია დებიტორების საწყისი პირობების შესაბამისად ვერ შეძლებს შეაგროვოს სრული თანხა.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სავაჭრო მოთხოვნები უიმედოდ ჩაითვლება, ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც იწურება ხელშკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებას, მიღებულ თანხას, დებიტორულ დავალიანებას და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მოგებაში ან ზარალში ასახვის გზით რეალური ღირებულებით შეფასებული სესხები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო სესხების და კრედიტორული დავალიანების შემთხვევაში, პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯების გამოკლებით. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას და სესხებს.

გაცემული სესხები. სუბიექტი გაცემულ სესხებს აღრიცხავს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სესხები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიან ღირებულებაზე, რომელიც, ჩვეულებრივ, განისაზღვრება ტრანზაქციის ფასით. შემდგომში, სესხები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, დაკლებული შესაძლო საკრედიტო დანაკარგების რეზერვით. სუბიექტი ქმნის რეზერვს მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ ყველა გადასახდელი თანხის ამოღება სესხის თავდაპირველი პირობების შესაბამისად ვერ მოხდება. სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის განსხვავება თავდაპირველ აღიარებაზე აისახება მოგება-ზარალის ანგარიშში.

ვალდებულებები და გადასახადები. ვალდებულებები და გადასახადები წარმოადგენენ გაურკვეველი ვადის ან თანხის არაფინანსურ ვალდებულებებს. ისინი არსებობენ იმ შემთხვევებში, როდესაც წარსული მოვლენების შედეგად კომპანიას აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება. სავარაუდოა, რომ ვალდებულებების გადასაჭრელად საჭირო იქნება რესურსების გადინება, რომლებიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს, რის შემდეგ, შეიძლება შეფასდეს ვალდებულების ოდენობა. დებულებები ფასდება დანახარჯების ამჟამინდელი ღირებულებით, რისთვისაც შესაძლოა მოთხოვნილ იქნას მოვალეობის შესრულება წინასწარი გადასახადის განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის ღირებულებასა და ვალდებულების სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო ვალდებულების ზრდა მიჩნეულია საპროცენტო ხარჯად.

გადასახადები და ხარჯები, როგორიცაა საშემოსავლო გადასახადის ან რეგულირების საფასურის გარდა სხვა გადასახადები, დაფარვის ვალდებულების წარმოქმნამდე პერიოდთან დაკავშირებული ინფორმაციის საფუძველზე, მიჩნეულია ვალდებულებად, როდესაც სავალდებულო ღონისძიება, რომელიც განკარგავს გადასახადის გადახდას, ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც გულისხმობს გადასახადის გადახდის ვალდებულებას. თუ დაბეგვრის გადახდა ხდება სავალდებულო ღონისძიებამდე, იგი განისაზღვრება წინასწარ თანხად.

სესხები. სესხები განისაზღვრება სამართლიანი ღირებულებით, გაწეული გარიგების სუფთა ხარჯებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულება შესრულება ან გაუქმდება ან მოქმედების ვადა დაუსრულდება. როდესაც იგივე გამსესხებელი არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ახლით ჩაანაცვლებს მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ფინანსური ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის მიერ დადგენილი საწესდებო კაპიტალის ოდენობას განსაზღვრავს კომპანიის აქციონერები. კომპანიის მიერ წარდგენილ კაპიტალში ცვლილებები უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის აქციონერების გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება ვალდებულებად და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოცხადდება და დამტკიცდება. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსურ ანგარიშგებამდე გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდი, რომლებიც გამოსაქვეყნებლად არის განსაზღვრული, აღწერილია მოვლენების შემდგომ ჩანაწერში.

საშემოსავლო გადასახადები. საშემოსავლო გადასახადები გათვალისწინებულია ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის ამოქმედებული ან არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად.

2017 წლის 1 იანვრამდე საშემოსავლო გადასახადის ხარჯები/(კრედიტი) შეადგენდა მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს და აღიწერებოდა წლის განმავლობაში მიღებულ მოგებაში/ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი აღნიშნული იქნებოდა სხვა ყოვლისმომცველ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ეს დაკავშირებული იყო ოპერაციებთან, რომლებიც ასევე იწერებოდა იმავე ან სხვა პერიოდისთვის სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი გულისხმობდა გადასახადის რაოდენობას, რომელიც უნდა გადახდილიყო ან ამოღებულიყო საგადასახადო ორგანოებში მიმდინარე და წინა პერიოდებში დასაბეგრი მოგების ან ზარალის მიმართ. დასაბეგრი მოგება ან ზარალი შეფასებებს ეფუძნებოდა იმ შემთხვევებში, თუ ფინანსურ ანგარიშგებებს უფლებამოსილება ენიჭებოდა მათი შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციებში შეტანამდე.

გადავადებული საშემოსავლო გადასახადი უზრუნველყოფილი იყო საბუღალტრო ბალანსის მეთოდის გამოყენებით საგადასახადო ზარალის ანაზღაურებისთვის და დროებითი განსხვავებებისთვის, რომლებიც წარმოიქმნა აქტივების და ვალდებულებების საგადასახადო საფუძვლებისა და მათ სააღრიცხვო ღირებულებებს შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი საშემოსავლო გადასახადების გათავისუფლების შესაბამისად, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხებოდა ოპერაციებისას აქტივის ან ვალდებულების საწყის აღიარებასთან დაკავშირებით, დროებითი სხვაობების არსებობის შემთხვევაში. თუმცა ეს არ ეხებოდა ბიზნეს კომბინაციასა, თუ გარიგებას, რომელიც თავდაპირველად ჩაწერისას, გავლენას არ მოახდენდა არც აღრიცხვაზე, არც დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთები იზომებოდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს ამოქმედებულ ან არსებითად ამოღებულ საგადასახადო განაკვეთებზე, რომლებიც შესაძლოა გამოყენებულიყო იმ პერიოდისთვის, როდესაც ხდება დროებითი განსხვავებები ან გადასახადის ზარალის ანაზღაურება.

გამოქვეყნებული დროებითი განსხვავებებისა და საგადასახადო დანაკარგის შესახებ გადავადებული საგადასახადო აქტივები აღირიცხებოდა, რადგანაც სავარაუდო იყო დროებითი სხვაობის სამომავლო ცვლილება და არსებობდა საკმარისი სამომავლო დასაბეგრი მოგება, რომლის წინააღმდეგაც გამოქვეყნება შეიძლებოდა.

გადავადებული საშემოსავლო გადასახადის აქტივები და ვალდებულებები ანაზღაურდა მაშინ, როდესაც მიმდინარეობდა საგადასახადო აქტივების ანაზღაურების კანონიერად აღსრულების უფლება მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების წინააღმდეგ და როცა გადავადებული საშემოსავლო გადასახადების აქტივები და ვალდებულებები დაკავშირებული იყო საშემოსავლო გადასახადებთან, რომლებიც დაწესებულია ერთი და იგივე საგადასახადო ორგანოს, ერთსა და იმავე დასაბეგრი ერთეულის ან სხვადასხვა დასაბეგრი პირების მიმართ. 2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს

საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმად, კომპანიებმა (გარდა ბანკებისა, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სალომბარდო მაღაზიებისა) არ უნდა გადაიხადონ საშემოსავლო გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებული მოგების გადასახადზე, სანამ ეს მოგება არ განაწილდება ან ჩაითვლება დივიდენდის სახით.

15%-იანი საშემოსავლო გადასახადი წარმოადგენს დივიდენდის გადახდის მომენტში ფიზიკური ან არარეზიდენტი იურიდიული პირისათვის არსებულ გადასახადს მთლიანი ღირებულების მიხედვით (ანუ წმინდა დივიდენდები უნდა განისაზღვროს დაკავების გადასახადის 5%-ით და საჭიროების შემთხვევაში გაიყოს 0.85-ზე). 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებული მოგებიდან, რეზიდენტი იურიდიულ პირებზე გადახდილი დივიდენდები თავისუფლდება გადასახადისაგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი მოგების დივიდენდები ექვემდებარება მთლიან შემოსავალზე გადასახადის გადასახადს, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტით. დაგროვილი მოგების დივიდენდები გამოითვლება, როგორც დეკლარირებული და გადასახდელი მოგება, რაც გადასახდელია მოგების გადასახადზე. ამასთან, აღსანიშნავია იცის, რომ საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდის განაწილებაზე დაწესებული ფაქტობრივი საშემოსავლო გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი საშემოსავლო გადასახადი აღირიცხება საშემოსავლო გადასახადის ხარჯზე იმ პერიოდში, როცა ხდება დივიდენდების დეკლარირება, მიუხედავად გადახდის რეალური თარიღისა და პერიოდისა, რომლისთვისაც ხდება დივიდენდების გადახდა. პირობითი საშემოსავლო გადასახადის დავალიანება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისთანავე, არ არის აღირიცხული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი კვლავ მოქმედებს იმ ხარჯების ან სხვა გადასახადების მიმართ, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურებების უფასოდ მიწოდებასთან და წარმომადგენლობით ხარჯებთან, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. დაუყოვნებლივ იბეგრება იურისდიქციებში რეგისტრირებულ პირებზე გადახდილი ყველა ავანსი, რომელთაც აქვთ შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი და სხვა პირებთან გარკვეული გარიგებები, აგრეთვე - ფიზიკური პირების ან არარეზიდენტებისთვის გადაცემული სესხები. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, სუფთა საგადასახადო კრედიტები, რომელიც ითხოვდა აქტივებსა და მომსახურებებზე მიღებულ გადასახადს, იურისდიქციებში რეგისტრირებულ

პირთათვის გადახდილი ავანსების სახით, რომელთაც აქვთ შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი ან ფიზიკური პირების ან არარეზიდენტებისთვის გაცემული სესხების ანაზღაურება, აღირიცხება გადასახადების ქვეშ, გარდა ოპერაციულ ხარჯებში მიღებული შემოსავლისა.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული გამომუშავებული ღირებულების ბეგარა წარმოადგენს გადასახადს საგადასახადო ორგანოებისთვის მომხმარებლებისგან (ა) ადრინდელი დებიტორული შეგროვებაზე ან (ბ) მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდებაზე. ზოგადად, დღგ-ს შენატანი ხდება ანაზღაურებადი გამომუშავებული დღგ-ს საწინააღმდეგოდ დღგ-ს ინვოისის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ს გადახდას სუფთა მოგების საფუძველზე. ქონების, საწარმოსა და მოწყობილობის ნივთების შეძენასთან დაკავშირებული დღგ დაკავებულია 5-დან 10 წლამდე, იმ პირებისთვის, რომელთაც დღგ-ის 20%-ზე მეტი ბრუნვა აქვთ.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახემწიფო ბიუჯეტში განხორციელებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ხარჯებში.

შემოსავალი. შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები საგადასახადო რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მოწოდებული მომსახურებისთვის მისაღებ თანხებს, ფასდაკლებების სუფთა მოგებას, დაბრუნებისა და დამატებული ღირებულების გადასახადებს. კომპანია ცნობს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება საიმედოდ შეფასდეს; როდესაც სავარაუდოა სამომავლო ეკონომიკური სარგებლის ორგანიზაციაში შემოდიდება; და როდესაც კომპანიის თითოეული საქმიანობისათვის კონკრეტული კრიტერიუმები იქნა შესრულებული, როგორც ეს ქვემოთაა აღწერილი. როდესაც ბარტერული გარიგების შედეგად მიღებული საქონლის სამართლიანი ღირებულება არ შეიძლება საიმედოდ შეფასდეს, შემოსავალი იზომება ფასდაკლებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

თანამშრომლების ბენეფიტები. ხელფასი, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება და შრომისუუნარობასთან დაკავშირებული შვებულება, პრემიები და არაფულადი შეღავათები ირიცხება იმ წელს, როდესაც კომპანიის თანამშრომლები უზრუნველყოფენ შესაბამის მომსახურებას. კომპანიას არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, უზრუნველყოს პენსიები ან მსგავსი შეღავათები.

საოპერაციო იჯარა. თუ კომპანია იჯარის ხელშეკრულების თანახმად წარმოადგენს მოიჯარეს, რომლის დროსაც საკუთრებაში არსებული ყველა რისკი და სარგებელი არსებითად არ გადადის მეიჯარიდან კომპანიაზე, იჯარის მთლიანი გადასახადი იბეგრება მოგების ან ზარალის დროს წრფივად, იჯარის ვადის განმავლობაში. იჯარის ვადა არის არა გაუქმებადი პერიოდი, რომლისთვისაც მოიჯარე ხელშეკრულებას იღებს ქონების იჯარით გაცემასთან ერთად ყველა სხვა პირობით, რისთვისაც გამქირავებელს აქვს შესაძლებლობა გააგრძელოს აქტივის იჯარით გაცემა, შემდგომი ანაზღაურებით ან მის გარეშე, როცა იჯარის დასაწყისში ნათელია, რომ მოიჯარე განახორციელებს შეთანხმებას.

გამოყენების შემდეგ არსებული ფინანსური ანგარიშგების ცვლილებები. გამოცემის შემდეგ ამ ფინანსურ ანგარიშგებებში ნებისმიერი ცვლილება მოითხოვს კომპანიის მენეჯმენტის დამტკიცებას, ვინც უფლებამოსილია ამ ფინანსური ანგარიშგებების გაცემაზე.

ხარჯები. ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიის ეკონომიკური სარგებლის გადინება. კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით. კომპანია მიიჩნევს, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მოხმარებლებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და დასკვნები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და ვარაუდებს, რომლებიც გავლენას ახდენს მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე. შეფასებები და დასკვნები მუდმივად ფასდება და ემყარება მენეჯმენტის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც, სავარაუდოდ, მიზანშეწონილად ჩათვლებიან გარემოებებიდან გამომდინარე. მმართველობა ასევე შეფასებების გარდა დასკვნებს აკეთებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. დასკვნებმა, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღწერილ თანხებსა და შეფასებებზე, შეიძლება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი რეგულირება გამოიწვიონ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე:

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენება. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოქმედების შეფასება წარმოადგენს მენეჯმენტის დასკვნის საკითხს, რომელიც ემყარება მსგავს აქტივებზე მუშაობის გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მოქმედების განსაზღვრისას, მენეჯმენტი ითვალისწინებს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ შეფერხებას, ფიზიკურ დატვირთვას და ფიზიკურ გარემოს, რომელშიც აქტივი მოქმედებს. ამ პირობებში ან შეფასებებში ნებისმიერმა

ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს რეგულირებები გაუფასურების სამომავლო პერიოდში. არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია ხდება წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებებისა და გაცემული სესხების ღირებულების შემცირება.

დებიტორული დავალიანების გაუარესების მდგომარეობა ეფუძნება კომპანიის შეფასებას კონკრეტული მომხმარებლის ანგარიშების შეგროვებაზე. თუ ძირითადი კლიენტის გადახდისუნარიანობაში არსებობს გაუარესება ან ფაქტობრივი ვალდებულებების შეუსრულებლობა უფრო მაღალია, ვიდრე შეფასებები, დებიტორული რეალური ანგარიშები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან. თუ კომპანია დაადგენს, რომ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება, გაუფასურების წარმოქმნის ინდივიდუალურად შეფასებული დებიტორული სესხის მისაღებად, ის გაითვალისწინებს კრედიტს, რომელიც მისაღები ანგარიშების ჯგუფში იქნება დებიტორული საკრედიტო რისკის მსგავსი მახასიათებლებით და კოლექტიურად შეაფასებს მათ გაუფასურებისთვის.

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები

	საოფისე ტექნიკა და ავეჯი	იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	სულ
ისტორიული ღირებულება			
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	465,242	38,591	503,833
შესყიდვები	44,199	-	44,199
გასვლები	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	509,441	38,591	548,032
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	509,441	38,591	548,032
შესყიდვები	19,597	2,119	21,716
გასვლები	-	-	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	529,038	40,710	569,748
ცვეთა და გაუფასურების ზარალები			
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	(218,437)	(10,565)	(229,002)
წლის ცვეთა	(49,300)	(2,803)	(52,103)
ცვეთის ამობრუნება	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	(267,737)	(13,368)	(281,105)
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	(267,737)	(13,368)	(281,105)
წლის ცვეთა	(46,339)	(2,803)	(49,142)
ცვეთის ამობრუნება	-	-	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	(314,076)	(16,171)	(330,247)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
2023 წლის 1 იანვარს	246,805	28,026	274,831
2023 წლის 31 დეკემბერს	241,704	25,223	266,927
2024 წლის 31 დეკემბერს	214,962	24,539	239,501

6. არამატერიალური აქტივები

	ვებ გვერდი	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
ღირებულება 1 იანვარი 2023	54,968	118,456	173,424
დამატება	-	13,671	13,671
ცვეთა	(7,500)	(13,735)	(21,235)
ჩამოწერა	-	-	-
ღირებულება 31 დეკემბერი 2023	47,468	118,392	165,860
დამატება	-	5,391	5,391
ცვეთა	(7,500)	(14,934)	(22,434)
ჩამოწერა	-	-	-
ღირებულება 31 დეკემბერი 2024	39,968	108,849	148,817

7. გაცემული სესხები

კომპანიის მიერ გაცემული სესხები არის დაკავშირებულ პირებზე, რომელსაც ერიცხება ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული პროცენტი. დეტალები იხილეთ დაკავშირებული მხარეების კომენტარში.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
გაცემული სესხები დაკავშირებულ მხარეებთან	70,373	11,725	11,725
სულ გაცემული სესხები	70,373	11,725	11,725

2024, 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხის გაცემული ნაშთი უზრუნველყოფილი არ ყოფილა. ასევე, 2025 წლის პირველ კვარტალში დაიფარა გაცემული სესხი ნაწილი 50,000 ლარის ოდენობით.

8. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მიმდინარე ანგარიშები ბანკში	18,155	14,466	14,011
	18,155	14,466	14,011

9. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

სავაჭრო მოთხოვნების უმეტესი ნაწილი დაკავშირებულია წლის ბოლო გაწეული მომსახურების ანაზღაურებასთან, რომელთა უმეტესი ნაწილიც მიიღება მომავალი წლის პირველ კვარტალში.

10. საგადასახადო ვალდებულება

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
გადასახდელი დღგ	247,643	151,141	138,068
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	36,459	3,565	608
გადასახდელი დაგროვებითი საპენსიო გადასახადი	31,426	6,813	(1,506)
გადასახდელი მოგების გადასახადი	8,585	(153)	3,026
სულ საგადასახადო ვალდებულება	324,113	161,366	140,196

აღსანიშნავია რომ გადასახდელი დღგ-ს თანხის უმეტესი ნაწილი წარმოადგენს დეკემბრის თვის გადასახდელ დღგს, რომელიც იფარება მომავალი წლის პირველ თვეს. საშემოსავლოს და საპენსიოს მიმართ დავალიანება ფიქსირდება, რადგან ბიზნესის საოპერაციო პრინციპიდან გამომდინარე საქვეანგარიშოდ გაცემული თანხები ჩამოიწერება ძველი პერიოდით, რადგან შესაბამის საბუთებს კომპანია იღებს საოპერაციო თვის დასრულების შემდეგ. შესაბამისად, 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული საგადასახადო ვალდებულებები იფარება შემდეგ თვეში, ანუ 2025 წლის იანვარში.

11. სესხები

კომპანიას სესხები წარმოადგენს ქართული კომერციული ბანკისგან, სს „პროგრედიტ ბანკი“-სგან მიღებულ მოკლევადიან და გრძელვადიან სესხებსა და ნასესხებ სახსრებს. სესხების უმეტესი ნაწილი

მოკლევადიანია და ერთ წელში უნდა დაიფაროს. ფინანსური ხარჯი წარმოადგენს სს „პროგრედიტ ბანკ“-ში დარიცხულ პროცენტს.

12. შემოსავალი

	2024	2023
მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	12,247,826	7,916,699
ვებ გვერდზე განთავსებული განცხადებები/ონლაინ სერვისების შემოსავალი	2,645,894	2,840,593
რეკრუიტინგის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	883,484	1,085,557
სხვა შემოსავალი	17,531	-
სულ შემოსავალი	15,794,735	11,842,849

13. მომსახურების თვითღირებულება

	2024	2023
ხელფასი	9,084,600	5,767,961
პრემია	517,287	660,651
მივლინების ხარჯი	271,555	185,370
იჯარის ხარჯი	343,850	141,314
საპენსიო ხარჯი	191,320	142,908
დაზღვევის ხარჯი	137,210	86,950
ტრანსპორტის ხარჯი	20,688	27,054
სხვადასხვა ხარჯი	787,767	398,956
სულ მომსახურების თვითღირებულება	11,354,277	7,411,164

14. დასაქმებულთა ანაზღაურება

	2024	2023
თანამშრომელთა ხელფასი	1,693,296	1,540,004
პრემია	1,508,142	1,586,096
თანამშრომელთა სხვა სარგებელი	68,680	31,871
სულ დასაქმებულთა ანაზღაურება	3,270,118	3,157,971

15. ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
კომუნალური და სხვა ხარჯები	467,908	399,167
იჯარის ხარჯი	432,794	439,279
რეკლამის ხარჯი	362,298	487,580
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	60,883	29,114
საკონსულტაციო ხარჯები	34,234	56,101
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	1,358,117	1,411,241

16. დივიდენდი

2024 წელს კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა 195,202 ლარის ოდენობით დივიდენდები, 2023-ში კი კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა 6,315 ლარის დივიდენდი. შვილობილი კომპანიისგან მიღებული დივიდენდი კი 2024 წელს იყო 390,000 ლარი, ხოლო 2023 წელს 390,840 ლარი.

17. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ ან საოპერაციო გადაწყვეტილებებზე.

დაკავშირებული მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

გაცემული სესხები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ნოდარ შურღაია	50,000	-	-
შპს ოფისი	20,373	11,725	11,725
	70,373	11,725	11,725

იჯარის ხარჯი	2024	2023
შპს აუდიო, ვიდეო, დიზაინი	285,634	275,313
შპს ოფისი	134,946	163,966
	420,580	439,279

	2024	2023
უმაღლესი ხელმძღვანელობის ხელფასი	786,798	568,705

18. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ შვილობილი კომპანიისგან მიღებული დივიდენდი 2025 წელს შეადგენდა 1,280,000 ლარს. სხვა მნიშვნელოვანი ან მატერიალური მოვლენები არ დაფიქსირებულა, რომელიც საჭიროებს დამატებით განმარტებით შენიშვნებს.